

## საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება

კვირას, 8 მარტს ინგა გრიგოლიას გადაცემაში ეკა ბესელიას მხრიდან გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

გადაცემაში “პოლიტიკური კვირა” მოძრაობა “ერთიანი საქართველოსთვის” ერთ-ერთი ლიდერი ცდილობდა მიეღო გარანტია, რომ ინგა გრიგოლია ირაკლი ოქრუაშვილს ტელეხიდის მეშვეობით ინტერვიუს ჩამოართმევდა. ეკა ბესელია არ მალავდა, რომ ეთერშიც სწორედ ამ გარანტიის მისაღებად მივიდა. პარალელურად მანიპულირებდა იმ ფაქტითაც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გრიგოლიას მუშაობა მისი დამსახურებაა. პოლიტიკოსი ქალბატონისგან ისმოდა ბრალდებები საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკურ მიკერძოებასთან დაკავშირებითაც, რისი კონკრეტული ფაქტიც ბესელიამ ვერ დაასახელა, საზოგადოებრივი მაუწყებელი საერთაშორისო სტანდარტების დარღვევად მიიჩნევს იმ მსჯავრდებული პირების ეთერში გამოყვანას (მაგ. ივორ გიორგაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ლევან მამალაძე, ემზარ კვიციანი და სხვები), რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს მიერ იძებნებიან.

აქვე დავძენთ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო მეორე სამაუწყებლო არხის პოლიტიკურ არხად გარდაქმნის პროცესი, რომელიც პირველი არხის პოლიტიკური თოქ შოუების გარდა, მაყურებელს პოლიტიკური პარტიების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების გამოსვლებს სარედაქციო კომენტარების გარეშე მიაწვდის. სსმ-ის ხელმძღვანელობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება არხზე ყოველგვარ ზეწოლას, მით უმეტეს, ზეწოლის ისეთ უხეშ მცდელობას, როგორც ქალბატონ ეკა ბესელიას მხრიდან ვიხილეთ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თავად განსაზღვრავს საკუთარ სარედაქციო პოლიტიკას, განუხრელად იცავს “მაუწყებლობის შესახებ კანონის” მე-15 მუხლით განსაზღვრულ დებულებებს და მოუწოდებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, განუხრელად დაიცვან კანონი და მედიასთან ეთიკური დამოკიდებულების ნორმები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი არ გადაიქცევა არცერთი პოლიტიკური პარტიის პროპაგანდისტულ იარაღად და მხოლოდ დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას სატელევიზიო პროგრამების შინაარსის და ფორმის შესახებ.